ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომის

ოქმი N29

ქ.თბილისი 18 მაისი, 2023 წელი
12^{00}საათი

საკრებულოს ბიუროს სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარე – გიორგი ტყემალაძე

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე - გიორგი ახვლედიანი

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე - ზურაბ აბაშიძე

საკრებულოს კომისიების თავმჯდომარეები:

ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის თავმჯდომარე – ლევან არველაძე;

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე - ნინო ვარდოსანიძე;

განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე – კახაბერ ლაბუჩიძე;

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე - ლევან ჟორჟოლიანი;

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - ზურაბ ჩიკვილაძე;

ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე – ირაკლი ხელაძე.

საკრებულოს ფრაქციების თავმჯდომარეები:

ფრაქციის „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარე - ოთარ გრიგოლია.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: ლილე ლიპარტელიანი, ნინო რუხაძე.

საკრებულოს ბიუროს სხდომა გახსნა საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ და ბიუროს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების შემადგენლობაში ცვლილების შეტანის შესახებ“.

გიორგი ტყემალაძემ საკრებულოს ბიუროს წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ საკრებულოს კომისიების შემადგენლობაში წარმოდგენილია ცვლილებები, კერძოდ: გურამ ოქროპირიძე ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის შემადგენლობიდან გადადის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის შემადგენლობაში, ხოლო არჩილ გორდულაძე წევრიანდება იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის და ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიებში. აღნიშნული ცვლილებები განიხილა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიამ და იქიდან გამომდინარე, რომ მომართვები არ ეწინააღმდეგება საკრებულოს რეგლამენტით დადგენილ კვოტებს, მიიღო დადებითი გადაწყვეტილება (საკრებულოს კომისიების შემადგენლობა, დანართის სახით, ოქმს თან ერთვის).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების შემადგენლობა ცნობად იქნა მიღებული.

საკრებულოს ბიუროს წევრებმა მოისმინეს ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარის მოადგილის ნინო რუხაძის ანგარიში, რომელიც 2023 წლის 22 მარტიდან 24 მარტის ჩათვლით, მივლინებით იმყოფებოდა ბელგიის სამეფოში, ქალაქ ბრიუსელში (ანგარიში ოქმს თან ერთვის).

საკრებულოს თავმჯდომარემ საკრებულოს ბიუროს სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე

საკრებულოს თავმჯდომარის
პირველი მოადგილე — გიორგი ახვლედიანი